უკვე მეხუთე წელია...

თბილისი ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს” სტადიონი, 3 ოქტომბერი.

“დინამოს” (თბილისი) _ “დინამოს” (კიევი) 0:0.

თბილისი: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, მუჯირი, გ. მაჩაიძე (ქორიძე), ჩელებაძე, წერეთელი, ყიფიანი, კოპალეიშვილი.

კიევი: რუდაკოვი, კონკოვი, მატვიენკო, კუზნეცოვი, რეშკო, ტრომკინი, სლობოდიანი, ონიშჩენკო, ბურიაკი, ბერეჯნოი, ბლოხინი.

მსაჯი ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 9:8.

საბჭოთა ფეხბურთის ბოლო წლების უდავო ლიდერმა კიევის `დინამომ” წლეულს კვლავ აალაპარაკა პრესა, მაგრამ საუბარი ახლა რადიკალურად საწინააღმდეგო იყო იმ დითირამბებისა, რომლებსაც უწინ უხვად და დაუზარებლად აფრქვევდნენ ამ გუნდს. იგი აშკარა კრიზისის ზოლში მოხვდა.

ეს ფეხბურთის დაუწერელი კანონია: მუდმივი გამარჯვებების გზით ჯერ არავის უვლია, კრიზისის პერიოდი ყველას აქვს ხოლმე, თვით განთქმულ სუპერკლუბებსაც კი, მაგრამ კიეველებმა საკუთრივ „შეუწყეს” ხელი თავიანთ ამ რეგრესს, როცა ისე დაგეგმეს საგაზაფხულო წვრთნის ეტაპი, რომ დიდი ფეხბურთის მიღმა დარჩნენ და მეორეხარისხოვან გუნდებთან უცხოური გასტროლებით გაერთნენ ზედმეტად. ამაზე საკმარისად ითქვა თავის დროზე.

მაგრამ კიევის “დინამოს”, ეტყობა, კვლავ უბრუნდება თავის ძველ სტილს, კვლავ იკრებს ძალას, რისი ნათელი დადასტურებაა ჩემპიონთა თასზე ამას წინათ საუკეთესოდ ჩატარებული ორი მატჩი ბელგრადის „პარტიზანთან”. ამდენად, თბილისელები რთული ამოცანის წინაშე იმყოფებოდნენ: მათს წინაშე იყო არა საგაზაფხულო ნიმუშის კიევის „დინამო”, არამედ შემოდგომისა, რომელიც მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს და მასთან ერთად _ შედეგებსაც.

როცა ვლაპარაკობთ მასპინძელთა სირტულეებზე, უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ძირითადი შემადგენლობის დიდი დანაკლისი. თასის მფლობელებმა ვერ შეძლეს მინდორზე გამოეყვანათ წამყვანი მოთამაშეები _ ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ჩივაძე, დარასელია და გუცაევი, ეს კი ისეთი ძალაა თბილისის „დინამოსთვის”, რომ მისი რამდენადმე მაინც სრულფასოვანი კომპენსირება არარეალურ საქმეს წარმოადგენს. ორი-სამი მოთამაშის შეცვლა ასე თუ ისე სეიძლება, მაგრამ როცა ასეთი მნიშვნელობის მატჩში გაკლია თითქმის ნახევარი გუნდი, ყველა რგოლის მეთაური ფეხბურთელები, დაგვეთანხმებით, პრობლემები სერიოზულ მასშტაბებს აღწევს.

რა თქმა უნდა სრული შემადგენლობით არც კიეველები იყვნენ წარმოდგენილი. მათ აკლდათ კოლოტოვი, ვერემეევი და ფომენკო (მუნტიანი სტუმრებს სათადარიგოდ ჰყავდათ ჩაწერილი), მაგრამ ჯერ ერთი, დანაკლისის საერთო პროპორცია მაინც კიეველთა სასარგებლოდ რჩებოდა, და მეორეც, ცნობილია, რომ კიეველებს გრძელი: სათადარიგო სკამი გააჩნიათ, მოთამაშეებს ისინი ზოგჯერ წმინდა ტაქტიკური თვალსაზრისითაც ცვლიან, ჩვენს გუნდს კი თითოეული ძირითადი ფეხბურთელი ოქროს ფასად უღირს.

აი, ასეთ უთანაბრო ვითარებაში შედგა ეს მატჩი, რომელმაც მაყურებელთა მაქსიმალური რაოდენობა მიიზიდა ჩვენს ახალ სტადიონზე. დასაწყისში მეტოქეები თითქოს უფრთხოდნენ ერთამნეთს ერთმანეთს, ნერვიულობდნენ, ეძებდნენ ერთმანეთის სუსტ ადგილებს, მერე კი, როცა ასეთი სისუსტეები არ არმოჩნდა, მინდორზე გაიშალა პოზიციური ხასიათის ბრძოლა, სადაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა სისწრაფეს და მოულოდნელ მანევრს.

პირველი ასეთი მანევრი შეასრულა მ. ჩივაძემ, რომლის ძლიერი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს. შემდგომში მ. მაჩაიძე სლობოდიანის მკაცრი პერსონალური მეურვეობის ქვეშ მოექცა და თამაშის ორგანიზატორის მთელი სიმძიმე დააწვა ყიფიანს, რომელიც იძულებული იყო გამთამაშებლის როლიც შეესრულებინა შუა მინდორში და წინა პოზიციებზეც გადასულიყო. ერთ მომენტში მას სულ ბოლოს მიუსწრო რუდაკოვმა, შემდეგ ჩელებაძემ ააცილა მიზანს, 32-ე წუტზე კი სტუმრები აშკარა ხიფათს გადაურჩნენ, როცა რუდაკოვი წინ იყო გამოსული კარიდან, კოპალეიშვილმა ეს შეამჩნია და შორი მანძილიდან დაარტყა. ბურთმა ზევიდან გადაუარა ძელს.

განსაკუთრებით დაიძაბა ბრძოლა მეორე ტაიმში. კიეველებმა საგრძნობლად მოუმატეს ტემპს. რამდენიმე ტიპიური კომბინაციაც გაითამაშეს ბლოხინის სწრაფ გარღვევებზე გაანგარიშებით. თბილისელებმა ეს ტემპი მიიღეს, მერე კიდევ უფრო გაზარდეს იგი და დაახლოებით 15-20 წუთის მანძილზე საფუძვლიანად დაეუფლნენ ინიციატივას. თამაშის ამ ეტაპზე გუნდს ჰაერივით ესაჭიროებოდა გუცაევისა და დარასელიას სწრაფი გარღვევები კომბინაციების დასასრულებლად, მაგრამ ერთიც და მეორეც ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ ტრიბუნაზე მაყურებელთა შორის, კიეველთა მასირებული დაცვის დაძლევა კი შეუძლებელი საქმე გამოდგა.

აი, უკვე ხუთი წელია თბილისის `დინამოს" არ მოუგია ჩემპიონატის მატჩი კიეველი თანაკლუბელებისთვის. ეს „ტრადიცია" ძალაში დარჩა წლეულსაც, თუმცა ჩვენს განახევრებულ გუნდს ამჯერად ვერაფერს ვუსაყვედურებთ.

ბ. ქორქია.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ სცნო დ. ყიფიანი და ო. ბლოხინი, რომლებსაც გადაეცათ სპეციალური პრიზები.

სურათზე: კიეველთა მეკარე ე. რუდაკოვი უძლურია აიღოს ბურთი, მაგრამ დარტყმა აცდა კარს.

ა. კოტორაშვილის ფოტო
"ლელო" 5.10.76